დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

აკადემიური გადაცდომის გამოვლენისა და სანქციის შეფარდების პროცედურები

2019

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი ადგენს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში“ აკადემიური გადაცდომის გამოვლენისა და სანქციის შეფარდებაზე უფლებამოსილ ორგანოს. ამ ორგანოსათვის მიმართვის წესსა და საკითხის განხილვის პროცედურებს.

დტსუ-ში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად დადგენილია დისციპლინური გადაცდომისა და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული დარღვევების სახეები, რომელიც შესაძლოა ფარავდეს ზოგიერთ აკადემიურ გადაცდომას, თუმცა არ ამოწურავს მათ.

დოკუმენტი განსაზღვრავს უშუალოდ წერით დავალებებთან დაკავშირებული აკადემიური გადაცდომის ცნებებს, მათ დონეებს და აწესებს შესაბამის სანქციებს; ადგენს პროცედურებს, რომელიც წინ უძღვის ამგვარი ქცევის გამოვლენას, შესწავლას და საჭიროების შემთხვევაში სათანადო სანქციის გამოყენების პროცედურას.

დოკუმენტი შექმნილია და სრულად იზიარებს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“ (დტსუ) აკადემიური კეთილსინდისიერების საუნივერსიტეტო კონცეფციას და ეყრდნობა ისეთ საუნივერსიტეტო რეგულაციებს, როგორებიცაა სტუდენტთა და აკადემური პერსონალის, ადმინისტრაციის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი; წარმოადგენს დამატებით რეგულაციას და აზუსტებს წერით დავალებებთან მიმართებაში გამოვლენილ გადაცდომებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელ მოქმედებებსა და უფლებამოსილ პირთა წრეს.

მუხლი 1. აკადემიური გადაცდომის სახეები და დონეები

1. წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის აკადემიურ გადაცდომას წარმოადგენს და გამოიწვევს ამავე დოკუმენტით განსაზღვრულ პასუხიმგებლობას შემდეგი ქმედებები:

პლაგიატი - სხვისი გამოქვეყნებული ან/და გამოუქვეყნებელი ნაშრომის/კვლევის და მისი შედეგების სრულად ან/და ნაწილობრივ გამოყენება ავტორის მითითების გარეშე, მითვისება და საკუთრად წარმოჩენა;

დუბლიკაცია - კონფერენციის/პროექტის/კვლევის ან/და სხვა ანალოგიური აქტივობის ფარგლებში გამოყენებული ნაშრომის განმეორებით წარმოდგენა, მისი შინაარსობრივი და ძირეული ცვლილების გარეშე;

ფალსიფიკაცია - ფაქტების, გარემოებების, შედეგების, ციტატების, გამონათქვამების, ნაშრომში მითითებული სხვა სახის ინფორმაციისა და მონაცემების გამოგონება/დამახინჯება/შეცვლა ყალბი შინაარსით;

გარიგებაში შესვლა - სარგებლის სანაცვლოდ, შეგნებულად სხვისი დახმარების მიღება ან/და სხვისთვის დახმარების გაწევა აკადემიური შეფასების მიღების მიზნით; შეფასებაზე უფლებამოსილი პირისათვის/ სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელისათვის სარგებლის შეთავაზება სასურველი აკადემიური შეფასების მიღების მიზნით;

კოლუზია (გადაწერა) - სხვა სტუდენტისათვის დახმარების გაწევა ან/და ასეთის მიღება დაუმსახურებელი აკადემიური შეფასების მოპოვების მიზნით; ქმედება, რომელიც მიმართულია დაუმსახურებლად და არაკეთილსინდისიერად აკადემიური შეფასების მოპოვებისაკენ და გულისხმობს (მაგრამ არ შემოიფარგლება) ტყუილს, სხვისი ტესტიდან/საგამოცდო ნაშრომიდან გადაწერას, გამოცდის მსვლელობისას მსჯელობას (ზედამხედველის ნებართვის გარეშე), საგამოცდო მასალის უკანონო და უნებართვო მოპოვებას და გავრცელებას, დამხმარე ჩანაწერების ან/და ნებისმიერი, მათ შორის ტექნიკური საშუალებების, გამოყენებას;

2. ზემოთ აღნიშული აკადემიური გადაცდომები მათი განხორციელების, განმეორებითობისა და გამოწვეული ზიანის, ასევე სასწავლო კომპონენტის გათვალისწინებით იყოფა დონეებად და იწვევს სხვადასხვა სახის სანქციების შეფარდებას, განსხვავებული პროცედურების გამოყენებით, კერძოდ:

ა) დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი სასწავლო კომპონენტის ფარგლებში გამოვლენილი გადაცდომები შეიძლება იყოს პირველი, მეორე ან მესამე დონის გადაცდომა და გამოიწვევს წინამდებარე დოკუმენტის დანართით გათვალისწინებულ სანქციას;

ბ) დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომ კვლევაში გამოვლენილი გადაცდომა, რომელიც, მიუხედავად იმისა იგი გამოვლენილია პირველად თუ არა, შეიძლება იყოს მხოლოდ მესამე დონის გადაცდომა, სასწავლო კომპონენტის შინაარსისა და კვლევის შედეგად მიღებული შედეგების არა მხოლოდ აკადემიური, არამედ საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო;

3. გადაცდომის პირველი დონე გულისხმობს - გადაცდომის გამოვლენამდე სხვა შემთხვევის არ არსებობას, ამასთან გამოვლენილი გადაცდომა იმდენად უმნიშვნელოა, რომ ნათელია გადაცდომა ჩადენილია ნაკლები ცოდნისა და გადაცდომის შინაარსის გაუცნობიერებლობის (გააზრების ნაკლებობის) გამო; გადაცდომის შეფასება ხორციელდება გამარტივებული წესით, წინამდებარე დოკუმენტის მე-2 მუხლის შესაბამისად;

4. გადაცდომა მეორე დონისაა და გულისხმობს შესაბამისი პროცედურების საფუძველზე სათანადო რეაგირებას, თუ აკადემიური გადაცდომა ჩადენილია იმ პირის მიერ, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნა პირველი დონის სანქცია ნებისმიერი აკადემიური გადაცდომისთვის ან/და გადაცდომა გამოვლენილია განმეორებით;

5. გადაცდომა მესამე დონისაა - თუ გადაცდომა ჩადენილია იმ პირის მიერ, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნა პირველი და მეორე დონის სანქცია ნებისმიერი აკადემიური გადაცდომისთვის ან/და გადაცდომა გამოვლენილია განმეორებით მესამე ჯერზე ან გამოვლენილია კვლევის ეტაპზე პირველად, მაგრამ გამორიცხავს გადაცდომის შინაარსის გაუცნობიერებლობას და ცოდნის ნაკლებობას.

მუხლი 2. აკადემიური გადაცდომის გამოვლენა და რეაგირება პირველ დონეზე

1. ნებისმიერი სახის და მათ შორის აკადემიური გადაცდომის გამოვლენის პირველწყაროს წარმოადგენს, სტუდენტთან უშუალო კავშირში მყოფი, აკადემიური პერსონალი, რომელიც გადაცდომის შინაარსისა და ჯერადობის გათვალისწინებით უფლებამოსილია გამოიყენოს აკადემიური გადაცდომისთვის ისეთი სანქცია, როგორიცაა რეკომენდაცია, შენიშვნა ან/და გაფრთხილება.

2. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტით გათვალისწინებული აკადემიური გადაცდომის გამოვლენის შემთხვევა გულისხმობს გადაცდომის პირველ დონეს და ამავე პუნქტში აღნიშნული სანქციების გამოყენებისთვის არ არის სავალდებულო პროცედურული საფეხურების გავლა; ამასთან აკადემიური გადაცდომის გამოვლენაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია სანქციის გამოყენების შესახებ გააკეთოს წერილობითი ჩანაწერი.

3. პირველი დონის გადაცდომის გამოვლენა შეიძლება მოხდეს ადმინისტრაციული პერსონალის ან/და აკადემიური საზოგადოების სტუდენტური შემადგენლობის მიერ, თუმცა მათი მხრიდან აუცილებელია ასეთის შესახებ დეკანისა და დისციპლინარული ოფიცერის ინფორმირება, დასაბუთებული და არგუმენტირებული წერილობითი პოზიციის წარდგენით; ამასთან აღნიშნული არ ზღუდავს დეკანს ან/და დისციპლინარულ ოფიცერს საკითხის შესწავლის შემდეგ დაადგინოს გადაცდომის სხვა დონე, რაც მოითხოვს კოლეგიალური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას და შესაბამისი პროცედურების გატარების აუცილებლობას.

4. პირველ დონეზე გადაცდომის განხილვისთვის დადგენილი გამარტივებული წესი (მუხლი 2, პუნქტი 1) არ ართმევს სტუდენტს უფლებას დაიცვას საკუთარი პოზიცია, წარმოადგინოს მტკიცებულებები ან/და არ დაეთანხმოს პედაგოგის მიერ გამოყენებულ სანქციას და მოითხოვოს კოლეგიალური ორგანოს მიერ საკითხის განხილვა (მუხლი 6, პუნქტი 3; მუხლი 7, პუნქტი 1, ქვეპუნქტი ა)).

მუხლი 3. აკადემიური გადაცდომის გამოვლენა, რეაგირება მეორე და მესამე დონეზე

1. წინამდებარე დოკუმენტის პირველი და მე-2-ე მუხლების შესაბამისად აკადემიური გადაცდომის გამოვლენის პირველ წყაროს წარმოადგენს სტუდენტთან უშუალო კავშირში მყოფი, აკადემიური პერსონალი/ხელმძღვანელი, თუმცა არ გამორიცხავს ადმინისტრაციის ან/და აკადემიური საზოგადოების სტუდენტური შემადგენლობის მიერ ასეთის გამოვლენის შესაძლებლობას.

2. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული უფლებამოსილი პირების მიერ გამოვლენილი გადაცდომის შესახებ უნდა ეცნობოს დისციპლინარულ ოფიცერს დაუყოვნებლივ, თუ:

2.1 აკადემიური გადაცდომა ჩადენილია იმ პირის მიერ, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნა პირველი დონის სანქცია ნებისმიერი აკადემიური გადაცდომისთვის ან/და გადაცდომა გამოვლენილია განმეორებით;

2.2 გადაცდომა ჩადენილია იმ პირის მიერ, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნა პირველი და მეორე დონის სანქცია ნებისმიერი აკადემიური გადაცდომისთვის ან/და გადაცდომა გამოვლენილია განმეორებით მესამე ჯერზე ან გამოვლენილია კვლევის ეტაპზე პირველად, მაგრამ გამორიცხავს გადაცდომის შინაარსის გაუცნობიერებლობას და ცოდნის ნაკლებობას.

3. წინამდებარე მუხლის მე-2 ნაწილის 2.1 პუნქტის მიზნებისთვის დისციპლინარული ოფიცერი ამზადებს საკითხს დისციპლინარული კომიტეტის წინაშე წარსადგენად, რაც გულისხმობს მის მიერ აკადემიურ გადაცდომასთან დაკავშირებული დეტალების გამოკვლევას (მის ხელთ არსებული ყველა რესურსით - ტექნიკური, ადამიანური და სხვა), საჭირო ინფორმაციის მოძიება/შეკრებას; ამასთან დისციპლინარული ოფიცერი ვალდებულია არ უგულვებელყოს ისეთი ინფორმაციაც კი, რაც შეიძლება იყოს სტუდენტის პოზიციის დამადასტურებელი. საკითხის განსახილველად მომზადების შემდეგ იწვევს დისციპლინარულ კომიტეტს, რომლის შესახებაც ეცნობება სტუდენტსაც არაუგვიანეს სხდომამდე 5 დღით ადრე. დისციპლინარული კომიტეტის სხდომაზე მოწვეული უნდა იქნას სტუდენტის ხელმძღვანელი.

დისციპლინარული კომიტეტის სხდომაზე დისციპლინარული ოფიცერი კომიტეტის წევრების წინაშე მოახსენებს საკითხს, წარადგენს მის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას სრულად და აკადემიური გადაცდომისათვის დადგენილი მოსალოდნელი სანქციის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარის შესახებ; დისციპლინარული ოფიცერის მოხსენების შემდეგ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გამოთქვას საკუთარი აზრი და წარმოადგინოს მტკიცებულებები პოზიციის დაცვის მიზნით, გადაცდომის აღიარების შემთხვევაში იშუამდგომლოს მინიმალური ზღვარის ან/და უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენების შესახებ.

საკითხის ნათლად წარმოსაჩენად და იმის დასადგენად ჰქონდა თუ არა ადგილი აკადემიურ გადაცდომას, დისციპლინარული ოფიცერი უფლებამოსილია კომიტეტს შესთავაზოს საკითხთან დაკავშირებული გამოკითხვის ჩატარება; რის შესახებაც სტუდენტი წინასწარ იქნება ინფორმირებული.

განხილვის შემდეგ დისციპლინური კომიტეტი დაადგენს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ–ერთს,:

- არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება, იმის დასადასტურებლად, რომ ადგილი ჰქონდა აკადემიურ გადაცდომას
- არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ადგილი ჰქონდა აკადემიურ გადაცდომას და ასეთ შემთხვევაში ხდება პროცედურის აღნიშნული დონისთვის დადგენილი სანქციებიდან ერთის ან რამოდენიმეს გამოყენება.

4. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის მიზნებისთვის დისციპლინარული ოფიცერი საკითხის დისციპლინარული კომიტეტის წინაშე წარსადგენად ამზადებს იმავე პრინციპით რაც აღწერილია ამავე მუხლის 3 ნაწილში.

მეორე დონისგან განსხვავებით, მესამე დონის აკადემიური გადაცდომის შესახებ საკითხის განხილვა იწყება დისციპლინარული კომიტეტის თავმჯდომარის მიერ დღის წესრიგის, სხდომის დამსწრე წევრების, ქვორუმისა და განსახილველი საკითხის მოკლე მიმოხილვით. შემდეგ სიტყვა ეძლევა დისციპლინარულ ოფიცერს, სტუდენტის ხელმძღვანელსა და ბოლოს სტუდენტს. საკითხის განხილვისას კომიტეტის შემადგენლობის მიერ შესაძლებელია დაისვას კითხვები (რომელზეც პასუხის გაცემა სავალდებულოა და მხარეებს არ აქვთ უფლება თავი შეიკავოს პასუხის გაცემისაგან) და მოთხოვნილი იქნას დამატებითი მტკიცებულებები; დამატებითი მტკიცებულებების საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა კომიტეტის სხდომა გადაიდოს გონივრული ვადით, რაც დაკავშირებულია მტკიცებულებების მოპოვება/წარმოდგენასთან.

კომიტეტის გადაწყვეტილება შეიძლება იყოს ერთ–ერთი ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება, იმის დასადასტურებლად, რომ ადგილი ჰქონდა აკადემიურ გადაცდომას
- არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ადგილი ჰქონდა აკადემიურ გადაცდომას და ასეთ შემთხვევაში ხდება პროცედურის აღნიშნული დონისთვის დადგენილი სანქციებიდან ერთის ან მეტის გამოყენება.

5. სტუდენტი უფლებამოსილია დისციპლინარული კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივროს, თუ მოპოვებული იქნა საკითხთან დაკავშირებული ახალი მასალა, რომელიც გადაწყვეტილების მიღების მომენტში არ იყო ხელმისაწვდომი,

მუხლი 4. აკადემიური გადაცდომის გამოვლენის შემთხვევაში დადგენილი სანქციები, მაქსიმალური და მინიმალური ზღვარი

1. პირველი დონის აკადემიური გადაცდომისათვის დადგენილ სანქციას წარმოადგენს რეკომენდაცია, შენიშვნა ან/და გაფრთხილება, რომლის შესახებაც ხელმძღვანელის მიერ კეთდება შესაბამისი წერილობითი ჩანაწერი და წარედგინება დისციპლინარულ ოფიცერს.

2. დიპლომამდელ და დიპლომის შემდეგომ სასწავლო კომპონენტში მეორე დონის სხვადასხვა აკადემიური გადაცდომისთვის შეიძლება გამოყენებული იქნას:

ა) დავალების 0 ქულით შეფასება, დავალების გადაბარების ვალდებულება (შეზღუდულად, მხოლოდ ერთხელ) ან დავალების 0 ქულით შეფასება, მოდულის ხელმეორეთ გავლის ვალდებულებით;

ბ) დავალების 0 ქულით შეფასება, დავალების გადაბარების ვალდებულება ან დავალების 0 ქულით შეფასება, მოდულის ხელმეორეთ გავლის ან სხვა მოდულის გავლის ვალდებულებით;

გ) დავალების 0 ქულით შეფასება, მოდულის ხელმეორეთ გავლის ან სხვა მოდულის გავლის ვალდებულებით ან დავალების 0 ქულით შეფასება და დისციპლინური სახდელის გამოყენება პირად საქმეში შეტანით;

დ) დავალების 0 ქულით შეფასება, მოდულის ხელმეორეთ გავლის ვალდებულება ან სტუდენტის აქტიური სტატუსის შეწყვეტა.

3. დიპლომამდელ და დიპლომის შემდგომ კვლევაში მესამე დონის სხვადასხვა აკადემიური გადაცდომისთვის შეიძლება გამოყენებული იქნას:

ა) ნამუშევრის აკადემიური გადაცდომის გზით შექმნილი ელემენტების გამოსწორება–გადამუშავების ვალდებულება

ბ) დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში სტუდენტის არ უღიარდება სამეცნიერო ნაშრომის შესრულებისათვის დადგენილი კრედიტები და არ მიეცემა აღნიშნული დავალების შესრულებისათვის დამატებითი ვადა;

გ) სტუდენტის აქტიური სტატუსის შეწყვეტა, დიპლომის შემდგომი სწავლების საფეხურზე

მუხლი 5. დისციპლინარული ოფიცერი

1. დისციპლინარული ოფიცერი - უნივერსიტეტის ბიოეთიკის კომიტეტის თავმჯდომარე (რომლის არჩევის/დანიშვნის წესი დადგენილია უნივერსიტეტში მოქმდეი ბიეთიკის კომიტეტის დებულებით), რომელიც არის დისციპლინარული კომიტეტის მუდმივმოქმედი, ხმის უფლების მქონე წევრი.

2. დისციპლინარული ოფიცერი შეიძლება არ იყოს უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების წევრი, მაგრამ უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიურ ხარისხის მქონე პირი. ფლობდეს აკადემიური გადაცდომის გამოვლენისა და შესწავლისათვის აუცილებელ უნარებს [მაგ. კომპიუტერული უნარები - საოფისე პროგრამები, ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის მოძიება/განთავსება, სხვადასხვა პროგრამისა (მაგ. Turnitini) და „აპლიკაციის“ გამოყენებით ინფორმაციის შემოწმება)

3. დისციპლინარული ოფიცერი:

ა) იღებს და ახორციელებს პირველი დონის აკადემიური გადაცდომის შესახებ მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციას;

ბ) ამზადებს საკითხს დისციპლინარული კომიტეტის წინაშე წარსადგენად, იძიებს და იკვლევს საკითხთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას;

გ) იწვევს კომიტეტის სხდომას, კომიტეტზე მოწვეული პირის სტატუსით დაინტერესებულ ან/და საკითხთან დაკავშირებით რაიმე სახის ინფორმაციის მქონე პირებს,

დ) აკეთებს მოხსენებას მეორე დონის აკადემიური გადაცდომისა და მოსალოდნელი სანქციის შესახებ დისციპლინარული კომიტეტის წინაშე;

ე) წარადგენს პოზიციას მესამე დონის აკადემიური გადაცდომის განხილვისას და აკეთებს მოხსენებას საკითხის შესწავლისას გატარებულ ღონისძიებებსა და მიღებულ ინფორმაციაზე.

4. დისციპლინარული ოფიცერი სარგებლობს ნდობის მაღალი მანდატით, იგი არის დამოუკიდებელი საკუთარი საქმიანობისას, დაუშვებელია მისთვის საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის დაკავება ან/და მის მოპოვებაში სხვაგვარად ხელშეშლა.

მუხლი 6. დისციპლინარული კომიტეტი

1. კომიტეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიური და რექტორის საბჭოს წევრებისგან დაკომპლექტებულ, კოლეგიალურ ორგანოს.
2. დისციპლინარული კომიტეტის შემადგენლობა აირჩევა აკადემიური და რექტორის საბჭოს წევრებისაგან 2 წლის ვადით;
3. დისციპლინარული კომიტეტი იხილავს აკადემიური გადაცდომის საკითხებს (ასევე უნივერსიტეტში მოქმედი შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ დისციპლინარულ გადაცდომებს), იღებს სანქციის გამოყენების ან/და გადაცდომის არ არსებობისა და საკითხის განხილვის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას.
4. დისციპლინარული კომიტეტი შედგება: სამი ადმინისტრაციის, სამი აკადემიური შემადგენლობის წევრის, დისციპლინარული ოფიცერისა და სტუდენტთა წარმომადგენლობისაგან. ამასთან სტუდენტური წარმომადგენლობის რაოდენობა არ შეიძლება იყოს სრული შემადგენლობის ნახევარზე ნაკლები.
5. დისციპლინარულ კომიტეტში სტუდენტები წარმოდგენილი არიან - მე-2 - მე-6 კურსის თითო და SYSSA-ს გამგეობის ან მის მიერ დასახელებული საზოგადოების წევრი ერთი სტუდენტით.
6. კომიტეტი მოიწვევა წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული აკადემიური გადაცდომის გამოვლენის შემთხვევაში დისციპლინარული ოფიცერის მიერ, ამავე დოკუმენტით დადგენილი ვადების დაცვით და გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3, პირადად ან/და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (მაგ. ვიდეო ზარი), ან განსახილველია ისეთი გადაცდომის საკითხი, რომლის მიმართაც შესაძლებელია კომიტეტის წევრის მიერ დასაბუთებული და არგუმენტირებული წერილობითი ახსნა-განმარტების წარმოდგენა, ყველა მნიშვნელოვანი საკითხის მიმოხილვითა და კომიტეტის წევრის სავარაუდო გადაწყვეტილებით.

7. დისციპლინარული კომიტეტი წინამდებარე დოკუმენტის მე-3 მუხლის მე-3 - მე-4 და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით, ღია კენჭისყრის საფუძველზე (დაფარული კენჭისყრის ჩატრების სურვილის შემთხვევაში კომიტეტის წევრები თავმჯდომარის წინაშე სხდომის დაწყებამდე აყენებენ შესაბამის შუამდგომლობას) .

8. აკადემიური გადაცდომისათვის შესაბამისი სანქციისა და მისი ზომის შესახებ გადაწყვეტილებას დისციპლინარული კომიტეტი იღებს, წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად და მხედველობაში იღებს სანქციების დაწესების კუთხით უკვე არსებულ გამოცდილებას და პრაქტიკას, სტუდენტის მხრიდან გადაცდომის აღიარების და გაცნობიერების დონეს, სტუდენტის გადაცდომათა ისტორიას, გადაცდომის მაპროვოცირებელ გარემოებებს.

მუხლი 7. დისციპლინარული კომიტეტისათვის მიმართვა

1. დისციპლინარული კომიტეტისათვის მიმართვა ხორციელდება დისციპლინარული ოფიცერის მიერ, თუ სტუდენტთან უშუალო კავშირში მყოფი, აკადემიური პერსონალი/ხელმძღვანელის ადმინისტრაციის ან/და აკადემიური საზოგადოების სტუდენტური შემადგენლობიდან მისთვის ცნობილი გახდა:

ა) ჩადენილია სავარაუდო აკადემიური გადაცდომა, პირის მიერ, რომლის მიმართაც გამოყენებული იყო პირველი დონის სანქცია ნებისმიერი აკადემიური გადაცდომისთვის ან/და გადაცდომას აქვს განმეორებითი ხასიათი;

ბ) ჩადენილია სავარაუდო აკადემიური გადაცდომა, პირის მიერ, რომლის მიმართაც გამოყენებული იყო პირველი და მეორე დონის სანქცია ნებისმიერი აკადემიური გადაცდომისთვის; გადაცდომას აქვს განმეორებითი ხასიათი, კერძოდ ჩადენილია მესამე ჯერზე; გამოვლენილია კვლევაში და გამორიცხავს გადაცდომის შინაარსის გაუცნობიერებლობას და ცოდნის ნაკლებობას.

2. დისციპლინარული კომიტეტისადმი მიმართვა ოფიცერის მიერ უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადებში, რაც დამოკიდებულია აკდემიურ გადაცდომასთან დაკავშირებული გარემოებების შესწავლასა და კომიტეტზე წარსადგენად მომზადებისათვის, ასევე სანქციის შინაარსთან (მაგ: დავალების გადაბარების ვალდებულების შემთხვევაში საკითხის შესწავლა და კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღება საქნციის შეფარდებაზე უნდა დასრულდეს იმ სავარაუდო დროში, რომ დაცული იყოს სტუდენტის უფლება - წერით დავალების შემაჯამებლ გამოცდაზე დაშვების წინაპირობად განხილვის შემთხვევაში - გამოასწოროს ხარვეზი დასკვნით გამოცდამდე; ამასთან სტუდენტის მიერ ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობა იწვევს უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით დადგენილ შედეგებს მოდულის შეფასების, შესაბამისი კრედიტის მოპოვების შეუძლებლობასა და მისი განმეორებით გავლის ვალდებულების შესახებ).

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი შეთანხმებულია უნივერსიტეტის აკადემიურ საზოგადოებასთან, მიღებული და დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით.

2. დოკუმენტს გააჩნია დანართი სწავლის ეტაპის, გადაცდომის ტიპისა და დონის შესაბამისად, განსაზღვრული სანქციების მინიმალური და მაქსიმალური ზღვარის მითითებით, რომელიც წარმოადგენს მის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

3. დოკუმენტში ან/და მის დანართში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

დანართი 1. სტუდენტთა და დოქტორანტთა აკადემიური გადაცდომისთვის დადგენილი სანქციების (მინიმალური, მაქსიმალური) სახელმღძვანელო ჩარჩო

სასწავლო კომპონენტი/კვლევა	გადაცდომის ტიპი	მანამდე არსებული დარღვევების რაოდენობა	პროცედურის შესაბამისი დონე	სავარაუდო სანქცია (მინიმალური ზღვარი)	სავარაუდო სანქცია (უმკაცრესი ზღვარი)
დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი სასწავლო კომპონენტი	პლაგიატი, დუბლიკაცია, ფალსიფიკაცია, კოლუზია	0	2	დავალების 0–ით შეფასება, დავალების გადაბარების ვალდებულება	დავალების 0–ით შეფასება, მოდულის ხელმეორეთ გავლის ან სხვა მოდულის გავლის ვალდებულება
		1	2	დავალების 0 ქულით შეფასება, დავალების გადაბარების ვალდებულება (შეზღუდულად, მხოლოდ ერთხელ)	დავალების 0 ქულით შეფასება, მოდულის ხელმეორეთ გავლის ვალდებულება
		2	3	დავალების 0–ით შეფასება, მოდულის ხელმეორეთ გავლის ან სხვა მოდულის გავლის ვალდებულება.	დავალების 0–ით შეფასება და დისციპლინური სახდელის გამოყენება პირად საქმეში შეტანით.
	გარიგებაში შესვლა	0	3	დავალების 0–ით შეფასება, მოდულის ხელმეორეთ გავლის ვალდებულება	სტუდენტის აქტიური სტატუსის შეწყვეტა
დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი კვლევა	პლაგიატი, დუბლიკაცია, ფალსიფიკაცია,	0	3	ნამუშევრის აკადემიური გადაცდომის გზით შექმნილი ელემენტების გამოსწორება–გადამუშავება (დიპლომამდელი სწავლების საფეხურისთვის)	სტუდენტის არ უღიარდება სამეცნიერო ნაშრომის შესრულებისათვის დადგენილი კრედიტები და არ მიეცემა აღნიშნული დავალების შესრულებისათვის დამატებითი ვადა (კვლევა დიპლომამდელ სწავლების საფეხურზე);
					სტუდენტის აქტიური სტატუსის შეწყვეტა (კვლევა დიპლომისშემდგომი სწავლების საფეხურზე)
	გარიგებაში შესვლა	0	3		სტუდენტის აქტიური სტატუსის შეწყვეტა

დანართი 2. მხარდამჭერი სერვისები

სტრუქტურული ერთეული	**ხელმისაწვდომი სერვისი**
ბიბლიოთეკა	*ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები Moodle და Turnitin დავალებების პრინციპებისა და გამოყენების შესახებ*
კარიერული განვითარების ხელშეწყობისა და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის დეპარტამენტი	*Moodle და Turnitin შესახებ დტსუ პერსონალის კონსულტირება*
დიპლომისშემდგომი განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ცენტრი	*დტსუ პერსონალის კონსულტირება ელექტორნული სერვისების შესახებ*
სამედიცინო განათლების ცენტრი	*ტრენინგების, ვორქშოპების და კონსულტაციების ჩატარება დაინტერესებული პირებისთვის Moodle, Turnitin და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებთან დაკავშირებით*
სამეცნიერო–კვლევითი სამსახური	*დაინტერესებული პირების კონსულტირება და მათი მხარდაჭერა შემდეგ საკითხებთან მიმართებაში: Moodle, Turnitin, კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები, მონაცემთა მართვა, აკადემიური წერა, ეთიკის საკითხები და აკადემიური კეთილსინდისიერება*